

დანართი N2

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

I ეტაპი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2026 წლის 30 ოქტომბერი

- განაცხადი;
- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

II ეტაპი

დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა 2027 წლის 5 მარტი

- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, შესაბამისი კალენდარული წლების (2025 და 2026 წწ.) განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მონიტორინგავალი სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე სავალდებულო აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, ხოლო ბენეფიციარი - მცირე ზომის მარნის შემთხვევაში, არასავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ **გაცემული ანგარიში** შესაბამის საანგარიშო პერიოდებში (01.10.2024-30.09.2025 წწ. და 01.10.2025-30.09.2026 წწ.) გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობების შესახებ, რომელიც მომზადებულია სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- მცირე ზომის მარნის შემთხვევაში პროგრამის 5¹ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მისაღებად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არა უგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.